



**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 8 23 0001502901



07/11/2023

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „ლიფტების ტექნიკური მომსახურება
და რემონტი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი /01739/ (დანართი).
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502150 ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზაქარეიშვილი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაცი ების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივო ბა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01739	ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის მე-11 მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2023 წლის 18 ივლისის

ბრძანებით N62



RTC სარკინიგზო
ტრანსპორტის
კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი

☐ პროფესიული მომზადება

☒ პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე

☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16 სთ
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5 - მაქსიმალური - 15 -
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ლიფტების ტექნიკოსად/ელექტრიკოსად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება.
პროგრამის მიზნები: პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე კადრების გადამზადება, რომლებიც შეძლებენ ლიფტების ტექნიკურ და სამრეწველო ექსპლუატაციას, მზა დეტალებისგან კვანძების და ნაკეთობების დაშლა-აწყობას, ნაკეთობების გამართვას, რეგულირებას, გაშვებას, რემონტს და მოდერნიზაციას, მწყობრიდან გამოსული დეტალების, კვანძების, მექანიზმების აღდგენას, დიაგნოსტიკას და გამოცდას, მათ შემდგომ ექსპლუატაციას.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) 1. ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის აღწერა, ლიფტის ტექნიკური მახასიათებლები და მათი კლასიფიკაცია; 2. ლიფტების უსაფრთხოების კომპონენტების გამართვა; 3. ლიფტების მუშა რეჟიმში ჩართვა; 4. ლიფტების ტექნიკური მომსახურება; 5. ლიფტების დიაგნოსტიკა, შეკეთება, დემონტაჟი-მონტაჟი. 6. შრომის, სახანძრო, ელექტროუსაფრთხოების საკითხების გაანალიზება.
პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 446 „ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ - 2013წ. 31 დეკემბერი;
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 302 „ლიფტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2011 წ 20 ივნისის 289 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ – 2022წ. 8 ივნისი;
3. საერთაშორისო სტანდარტი EN 81-20 ლიფტების მშენებლობისა და მონტაჟის უსაფრთხოების წესები - 29.01.2015 (ლიფტები ხალხისა და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის);
4. საერთაშორისო სტანდარტი EN 81-50 ლიფტების მშენებლობისა და მონტაჟის უსაფრთხოების წესები - 29.01.2015 (ინსპექტირება და ტესტირება).

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს ლიფტების ტექნიკურ და სამრეწველო ექსპლუატაციას და აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური ლიფტების ტექნიკოსისთვის/ელ.მექანიკოსისთვის.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, კვირაში - საშუალოდ 16 საათიანი დატვირთვით. პროგრამის სრული მოცულობა შეადგენს 192 საათს. სწავლება განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციასთან - შპს ლიფტების მართვის და მონიტორინგის ცენტრთან თანამშრომლობით.

პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია თეორიული ცოდნის შეძენა და პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული, ხოლო ლექციები ინტერაქტიული ფორმით ჩატარდება.

პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ტესტები/ზეპირი გამოკითხვა და პრაქტიკულ დავალებებზე დაკვირვება. მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) ჩატარდება სწავლების ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	საქართველოს მთავრობის დადგენილება „ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ N446 საქართველოს მთავრობის დადგენილება ლიფტის უსაფრთხოების შესახებ, ტექნიკური რეგლამენტი №289, ცვლილებები N302: ▪ ტერმინთა განმარტება ▪ ლიფტით სარგებლობის წესები; ▪ ლიფტით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში, წარმოქმნილი რისკების შეფასება, პრევენცია; ▪ ლიფტის კაბინაში დარჩენილი მგზავრის ევაკუაციის წესი; საერთაშორისო სტანდარტი EN 81-20, ლიფტების მშენებლობისა და მონტაჟის უსაფრთხოების წესები - 29.01.2015 (ლიფტები ხალხისა და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის). საერთაშორისო სტანდარტი EN 81-50,	ს.შ. N1	16 საათი	▪ ინტერაქტიული ლექცია; ▪ სემინარი; ▪ დისკუსია.	განმავითარებელი შეფასება ▪ გამოკითხვა;	A გარემო

	ლიფტების მშენებლობისა და მონტაჟის უსაფრთხოების წესები - 29.01.2015 (ინსპექტირება და ტესტირება).					
2	ლიფტის ტექნიკური მახასიათებელი, კლასიფიკაცია და დანიშნულება: - სამგზავრო, საავადმყოფო დანიშნულების, სატვირთო, სატვირთო-სამგზავრო, მცირე სატვირთო. ლიფტის განთავსების სამშენებლო ნაწილი: - ლიფტის შახტა, თანაორმო; - ლიფტის სამანქანო განყოფილება. ლიფტის ძირითადი მახასიათებელები: - ტვირთამწეობა; - სიჩქარე; - გადაადგილების სიმაღლე; - ლიფტის კუპის და შახტის ზომები; - პარამეტრები.	ს.შ. N1	16 საათი	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია.	<u>განმავითარებელი შეფასება</u> გამოკითხვა;	A გარემო
3	ლიფტის მექანიკური მოწყობილობები - ჯალამბარი, ლიფტის რედუქტორი, ბაგირმზიდი, სამუხრუჭე სისტემა, მუშაობის პრინციპი, აგებულება; - ბაგირები (გვარლი) ძირითადი მზიდი, დამჭიმი მოწყობილობის ბაგირი, მუშაობის პრინციპი;	ს.შ. N 1	16 საათი 8 - თეორია, 6 - პრაქტიკული, 2 განმ. შეფასება	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია; - პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> - გამოკითხვა; - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეალური სამუშაო გარემო

	- ლიფტის კუპე, აგებულება, კონსტრუქცია; - ლიფტის საპირწონე, მუშაობის პრინციპი, დანიშნულება; - ლიფტის მიმართველები, განლაგება, დამაგრების წესი; - სიჩქარის შემზღუდველი, აგებულება, მუშაობის პრინციპი და შემოწმების წესი; - ლიფტის კუპის და საპირწონის ბუფერი, დამჭიმი მოწყობილობა. - ლიფტის შახტის კარებები, აგებულება, კონსტრუქცია, მუშაობის პრინციპი, რეგულირების წესი ინსტრუქციის შესაბამისად.					
4	ლიფტების ელექტრული მოწყობილობები - ლიფტის ელექტროამძრავი: მოქმედების პრინციპი, ძრავის ტიპები, შესაძლებლობები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნები. - ლიფტების ელექტროაპარატურა: ნაირსახეობა, ზოგადი ინფორმაცია. - შემომყვანი მოწყობილობა: დანიშნულება, ჩართვის სქემები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნები. - ინვერტორები: დანიშნულება,	ს.შ. N1	16 საათი 10 - თეორია, 4 - პრაქტიკული, 2 განმ. შეფასება	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია; - პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება - გამოკითხვა; - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/ რეალური სამუშაო გარემო

	კონსტრუქცია, შერჩევა. ▪ დამცავი აპარატურა: დანიშნულება, ნაირსახეობა. ▪ დამცველები: ტიპები, კონსტრუქცია, შერჩევა დენის მიხედვით. ▪ არაავტომატური ამომრთველები, გადამრთველები: დანიშნულება, ტიპები, კონსტრუქცია, მოქმედების პრინციპი, ტექნიკური მოთხოვნები. ▪ ავტომატური ამომრთველები: ტიპები, კონსტრუქცია, შესრულება, ნომინალური დენები, მოქმედების პრინციპი, გამოყენება. ▪ ტრანსფორმატორები: დანიშნულება, კონსტრუქცია, მუშაობის პრინციპი, გამოყენება. ▪ ერთფაზიანი და სამფაზიანი ტრანსფორმატორები: მოწყობილობა, დანიშნულება. ▪ გამმართველები: დანიშნულება, მოწყობილობა, მუშაობის პრინციპი, ლიფტის ელექტრულ სქემებში გამოყენება. ▪ გამართვის სქემები: ტიპები, გამოყენება,					
--	--	--	--	--	--	--

	გამართვის კოეფიციენტი, გამართული მაზვის მნიშვნელობა. ▪ მართვის აპარატურა. ▪ რელეები, კონტაქტორები და მაგნიტური გამშვებები: ტიპები, დანიშნულება, შერჩევა, მოქმედების პრინციპი, გამოყენება. ▪ სართულის გადამრთველები: ტიპები, დანიშნულება, მოწყობილობა, მუშაობის პრინციპი. ▪ გადამწოდები: ტიპები, დანიშნულება, მოწყობილობა, მუშაობის პრინციპი, ლიფტების ელექტრულ წრედში ჩართვის სქემები. ▪ ბრძანების პანელი: ტიპები, განსხვავებები, დანიშნულება, მოწყობილობა, გამოყენება. გამომახების პოსტები: ძირითადი ინფორმაცია. კლავიატურა: ტიპები.					
5	ლიფტის უსაფრთხოება (კომპონენტები) ▪ ლიფტის სამუხრუჭე სისტემა, აგებულება, მუშაობის პრინციპი, ლიფტის მართვის კარადასთან დაერთების წესი;	ს.შ. N2 ს.შ. N6	16 საათი 8 - თეორია, 6 - პრაქტიკული,	▪ ინტერაქტიული ლექცია; ▪ სემინარი; ▪ დისკუსია; ▪ პრაქტიკული	<u>განმავითარებელი შეფასება</u> ▪ გამოკითხვა; ▪ პრაქტიკული დავალება	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	- ლიფტის სიჩქარის შემზღუდველი, დანიშნულება, რეგულირება და გამოცდის წესი; - ლიფტის ბუფერების განლაგება შახტის თანაორმოში; - ლიფტის კარის უსაფრთხოების წრედი, მუშაობის პრინციპი, დაზიანების განსაზღვრის წესი; - ტვირთამწეობის კონტროლის მექანიზმები, წონის რეგულირება, კუპე-საპირწონე; - ლიფტის კუპის ავარიული განათება და ვენტილაცია; - კუპის ორმხრივი ხმოვანი კავშირის დანიშნულება, დისპეჩერიზაცია; შრომის უსაფრთხოების საკითხები - შრომის დაცვის კანონმდებლობის ზოგადი სტრუქტურა; შრომის დაცვის ნორმატიული წყაროები; შრომის დაცვის უსაფრთხოების წესები. - პერიოდული სწავლება შრომის დაცვის კუთხით; დასაქმებულთა შრომითი უფლებები და მოვალეობები (ზოგადი ინფორმაცია), უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა შრომის დაცვის		2 განმ. შეფასება	მეცადინეობა	დაკვირვებით	
--	---	--	------------------	-------------	-------------	--

	სფეროში. ▪ სამუშაო ადგილზე შრომის პროცესის ფიზიოლოგიურ-ჰიგიენური საფუძვლები. ▪ სამუშაო დღის რეჟიმი. ▪ სამუშაო ტანსაცმლის ჰიგიენა, მოვლა და შენახვის წესები. ▪ მომსახურების ობიექტზე უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები. ▪ მომსახურების ობიექტებზე საშიში და მავნე ფაქტორების ზემოქმედება მუშაკთა ჯანმრთელობაზე. სახანძრო უსაფრთხოება ▪ სახანძრო უსაფრთხოება; ხანძრის გამომწვევი მიზეზები; ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ხანძრის ქრობის წესები და საშუალებები. ▪ ლიფტების მომსახურებისას სახანძრო უსაფრთხოების წესები. ▪ წვის და ხანძრის განსაზღვრა; წვის და ხანძრის პროცესების წარმოქმნის აუცილებელი პირობები. ▪ ხანძრის გამომწვევი მიზეზები ელექტრო					
--	---	--	--	--	--	--

	დანადგარებში და მათი პრევენციის ზომები. ▪ ფეთქებადსაშიში და ხანძარსაშიში ზონების კლასიფიკაცია. ▪ სახანძრო უსაფრთხოება საამქროში და ტერიტორიაზე; ხანძრის დროს ქცევის წესები; ხანძრის შესახებ შეტყობინების წესი; ხანძრის ჩაქრობის თავისებურებები ელექტროდანადგარებში. ▪ პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, მათი მოვლა და გამოყენების სფერო (სახანძრო ჰიდრანტები, ქაფის, ნახშირორჟანგის და ფხვნილის ცეცხლმაქრები და ა.შ.). ელექტროუსაფრთხოება ▪ ელექტრო უსაფრთხოების ნორმები და წესები; ელექტრული დენისგან თავდაცვის ზომები და საშუალებები. ▪ ელექტრული დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესები: ძირითადი ინფორმაცია. ▪ ელექტრული დანადგარების ექსპლუატაციის წესები: ზოგადი ინფორმაცია, მოთხოვნები იმ პირთა მიმართ, რომელთაც აქვთ დაშვება					
--	---	--	--	--	--	--

	დამოუკიდებლად მოემსახურონ ელექტრო მოწყობილობებს. ▪ საკვალიფიკაციო ჯგუფები ელექტრო უსაფრთხოებაში. ▪ სამუშაოების და ელექტრული დანადგარების კატეგორიები. ▪ ელექტრო უსაფრთხოება. ელექტრული დენით დაზიანების რისკი. ელექტრული დენის გავლენა ადამიანის სხეულზე. ელექტრული ტრავმის სახეები. ▪ ელექტრული დენის დარტყმისას პირველადი დახმარების წესები. ▪ ელექტროშოკის ფარული საფრთხე. ელექტრო დამცავი მოწყობილობა და მათი გამოყენების წესები. ელექტრო მოწყობილობების დამიწება. გადასატანი დამიწების საშუალებების გამოყენება. დამცავი დამიწება და დანულება.					
6	ლიფტის მუშა რეჟიმში ჩართვა ▪ სამუშაო პროცესის თანმიმდევრულობის განსაზღვრა; ▪ სამუშაო სპეც.ტანსაცმელის, იარაღების და ელ.მზომი ხელსაწყოების გამოყენების წესის დაცვა; ▪ გამაფრთხილებელი და ამკრძალავი	ს.შ. N3 ს.შ. N4	16 საათი 6 - თეორია, 8 - პრაქტიკული, 2 განმ. შეფასება	▪ ინტერაქტიული ლექცია; ▪ სემინარი; ▪ დისკუსია; ▪ პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> ▪ გამოკითხვა; ▪ პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	აბრების გამოყენება; - ლიფტის სამანქანო ოთახის შემოწმება, საჰაერო ვენტილაცია, ტემპერატურის კონტროლი, ოთახის გადახურვა, ნალექების დადინება ელ. კვანძებზე, ჯალამბარზე, პრევენცია; - დამიწების კონტურის შემოწმება; - ელ. სადენების და კვანძების შესაბამისი იზოლაციით უზრუნველყოფა; - ლიფტის რედუქტორის საპოხი მასალით უზრუნველყოფა, გაჟონვის აღმოფხვრა.					
7	ლიფტის მუშა რეჟიმში ჩართვა - ლიფტის ძრავის პარამეტრების შეყვანა მართვის პანელში; - ლიფტის სტატიკურ და დინამიკურ რეჟიმში შემოწმება; - სამუხრუჭე სისტემის ხუნდების შემოწმება; - ლიფტის სიჩქარის შემზღუდველის გამოცდა ავარიულ რეჟიმში გადაყვანის მეთოდით; - კარის უსაფრთხოების შემოწმება, მისი პარამეტრების შეყვანა მართვის პანელზე; - ლიფტის შახტის დათვალიერება რევიზიით; - ლიფტის შახტის განათებით	ს.შ. N3 ს.შ. N4	16 საათი 14 - პრაქტიკა, 2 - განმავით. შეფასება	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია; - პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> - გამოკითხვა; - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	უზრუნველყოფა; - ლიფტის საბოლოო ვიზუალური დათვალიერება და საექსპლუატაციო რეჟიმში გადაყვანა; - შესრულებული სამუშაოების ლიფტის საწარმოო ჟურნალში დაფიქსირება ხელმოწერით.					
8	ლიფტის მომსახურება-ექსპლუატაცია - ლიფტების ტექნიკური მომსახურების და რემონტის ორგანიზების ძირითადი დებულებები. - ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები; ლიფტის მომსახურების უფლების მქონე პირები, მათი ფუნქციები, უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობა. - მომსახურება და ტექნიკური შემოწმება. - ლიფტების რეგისტრაცია და ექსპლუატაციაში გაშვება. - ლიფტის რეგისტრაციის წესი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისად. - ლიფტის ექსპლუატაციაში გაშვების წესი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისად. - ავარიების და უბედური შემთხვევების გამოძიების წესები. - ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები,	ს.შ. N1 ს.შ. N4	16 საათი 8 - თეორია, 6 - პრაქტიკული, 2 განმ. შეფასება	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია; - პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> - გამოკითხვა; - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	რომლებიც ადგენენ ავარიების გამომწვევი მიზეზების გამოძიების წესს. ლიფტის ავარიის შემთხვევაში მოქმედი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა. - ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; - ლიფტის ელექტრული და მექანიკური დეტალების ცვეთის ხარისხის განსაზღვრა; - ლიფტის კუპის ტვირთამწეობის ნორმების დაცვა; - სართულზე ზუსტი გაჩერების შემოწმება.					
9	ლიფტის მომსახურება ავარიულ რეჟიმში - ვიზიტი დაზიანებული მექანიზმების შესამოწმებლად; - დაზიანებული დეტალების მიზეზის განსაზღვრა, დიაგნოსტიკა; - შესაძლო რისკების დადგენა ლიფტით მოსარგებლისთვის, კაბინის გარეთ და ლიფტის კაბინაში; - სართულებს შორის გაჩერებული კაბინიდან მგზავრის ევაკუაციის მეთოდი და წესების დაცვა; - დაზიანებული ნაწილის შეკეთება და გამოცვლა; - ლიფტის ავარიულ რეჟიმში გადასვლისას, ტექნიკური მოთხოვნების დაცვა ლიფტის უსაფრთხოების	ს.შ. N 4 ს.შ. N 6	16 საათი 4 - თეორია, 10 - პრაქტიკა, 2 განმავით. შეფასება	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია; - პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> - გამოკითხვა; - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	კომპონენტებისადმი; ▪ შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვა მუშაობისას; ▪ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ლიფტის წარმოების ჟურნალში.					
10	ლიფტის დიაგნოსტიკა შეკეთება, მონტაჟი ▪ ლიფტის ტექნიკური დიაგნოსტიკა: შესაბამისობის შეფასება სრული, პერიოდული, ნაწილობრივი ტექნიკური დამოწმების სახით. დამოწმების ჩატარების ზოგადი პროცედურა, ელექტრომექანიკოსის მოქმედებები და მოვალეობები დამოწმების დროს. ლიფტის პასპორტის შევსება დამოწმების შედეგების მიხედვით. ▪ ლიფტების რემონტის არსი, ტექნიკური მომსახურება, პერიოდული მომსახურება, საავარიო-ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. ▪ ლიფტის ვიზუალური დათვალიერება; ▪ ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობის დაცვა; ▪ ძირითადი და დამხმარე საშუალებების შერჩევა; ▪ დაზიანებული კვანძის ნაწილის	ს.შ. N 5	16 საათი 2 - თეორია, 12 - პრაქტიკა, 2 განმავით. შეფასება	▪ ინტერაქტიული ლექცია; ▪ სემინარი; ▪ დისკუსია; ▪ პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> ▪ გამოკითხვა; ▪ პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	დადგენა; ▪ დაზიანებული დეტალის დემონტაჟი; ▪ შეკეთებული (ახალი) ნაწილის მონტაჟი; ▪ ლიფტის ძრავის დაზიანების მიზეზის განსაზღვრა, ძრავის მაღალი და დაბალი სიჩქარეების დაზიანების დადგენა; ▪ ძრავის დემონტაჟი და შემდგომი მონტაჟი; ▪ სამუხრუჭე სისტემის ხუნდების დაზიანების ხარისხის განსაზღვრა და შესაბამისი წესით ახლით შეცვლა; ▪ ლიფტის რედუქტორის გამართული მუშაობა მისი საკისარების დროული შეცვლის ხარჯზე საპოხი მასალით.					
11	ლიფტის კვანძების შეკეთება-რემონტი ▪ ლიფტის ელ. კვანძების დაზიანების გამოვლენა და დემონტაჟი, მათი შეკეთება, ჩანაცვლება, იზოლირება შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით; ▪ ძირითადი ბაგირების დაზიანების ხარისხის დადგენა, მათი შეცვლა შესაბამისი დამხმარე საშუალებებით და ხელსაწყოებით; ▪ ბაგირების გაჭიმვის ხარისხის დადგენა; ▪ ბაგირმზიდის (შკივი) ღარების ცვეთის ხარისხის განსაზღვრა; ▪ მექანიზმების/კვანძების დემონტაჟი და	ს.შ. N 5	13 საათი 2 - თეორია, 11 - პრაქტიკა	▪ ინტერაქტიული ლექცია; ▪ სემინარი; ▪ დისკუსია; ▪ პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> ▪ გამოკითხვა; ▪ პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

	მონტაჟი; ლიფტის მართვის კარადის პროგრამული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მწარმოებელი ქარხნის პარამეტრების დაცვით (დაზიანების შემთხვევაში სარგებლობს საგარანტიო ვადით).					
12	ლიფტის შახტის რევიზიით დათვალიერება - ძირითადი მიმართველების დამაგრების ადგილების კონტროლი; - მიმართველების დაშორების ზუსტი ზომების შემოწმება (შტიხმასტი); - ლიფტის კუპის და საპირწონე სისტემის დაზიანებული მცოცავი ბუნიკების შეცვლა დადგენილი წესით; - ლიფტის შახტის კარების უსაფრთხოების წრედის შემოწმება, დაზიანებული მოძრავი ან უძრავი ნაწილების ვარგისიანობის განსაზღვრა, დადგენილი წესით მათი შეკეთება ან შეცვლა ახალი დეტალებით; - ლიფტის კუპის ზედა და ქვედა კოჭზე განლაგებული მექანიზმების გამართული მუშაობის დიაგნოსტიკა, სამუხრუჭე სოლების შემოწმება; - ლიფტის კუპეში ღიობების დაფიქსირება, კედლები, იატაკი, ჭერი, მათი შეკეთება ლიფტის მფლობელთან შეთანხმებით;	ს.შ. N 4 ს.შ. N 5 ს.შ. N 6	13 საათი 2 - თეორია, 11 - პრაქტიკა	- ინტერაქტიული ლექცია; - სემინარი; - დისკუსია; - პრაქტიკული მეცადინეობა	<u>განმავითარებელი შეფასება</u> - გამოკითხვა; - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო

- ლიფტის შახტის თანაორმოს გაწმენდა ნარჩენებისგან, გამდინარე წყლების დინების აღმოფხვრა, ლიფტის მფლობელთან შეთანხმებით; - დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების საწარმო ჟურნალში დაფიქსირება; - გამოცვლილი ან შეკეთებული ნაწილების ნომენკლატურა.					
განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა)	ს.შ. N1 - ს.შ. N6	6 საათი	- ტესტი - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A გარემო C - საწარმო/რეა ლური სამუშაო გარემო	

ლოკაცია და აღჭურვილობები

ლოკაცია		
რეგიონი	რაიონი	მისამართი
თბილისი	გლდან-ნამალადევი	თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10
აღჭურვილობები		
ტიპი	ზომის ერთეული	რაოდენობა

მასწავლებლის მაგიდა	ცალი	1
მასწავლებლის სკამი	ცალი	1
მასწავლებლის კომპიუტერი/ლექტოპი	ცალი	1
პროექტორი	ცალი	1
მსმენელის მაგიდა, სკამი	ცალი	
დაფა	ცალი	1
შახტის პორტალი კომპლექტში	ცალი	1
კაბინა კომპლექტში	ცალი	1
ჯალამბარი	ცალი	1
მიმმართველები	სიგრძე	1
ბაგირები	სიგრძე	1
მულტიმეტრი	ცალი	1

სასწავლო რესურსები		
ტიპი	დასახელება	მოკლე აღწერა
სასწავლო რესურსი	პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი	

სასწავლო რესურსი	საქართველოს შრომის კოდექსი	
სასწავლო რესურსი	შრომის უსაფრთხოების შესახებ	
სასწავლო რესურსი	ტექნიკური რეგლამენტი – მანქანა-დანადგარების შესახებ	
სასწავლო რესურსი	დადგენილება 446. 2013 წლის 31 დეკემბერი. ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ	
სასწავლო რესურსი	დადგენილება 289 2011წლის 26 ივლისი. ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი	
სასწავლო რესურსი	საქართველოს მთავრობის დადგენილება №173 2013 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	
სასწავლო რესურსი	საქართველოს მთავრობის დადგენილება №488 2012 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზღვრული ტექნიკური პარამეტრების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	
სასწავლო რესურსი	სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი	
სასწავლო რესურსი	ჰარმონიზებული სტანდარტი EN 81-20	
სასწავლო რესურსი	ჰარმონიზებული სტანდარტი EN 81-50	
სასწავლო რესურსი	Г. Г. Архангельский, Д. П. Волков, Э.А. Горбунов, А.А. Ионов, В. Я. Ткаченко, П. И. Чутчиков ЛИФТЫ Рекомендовано Министерством общего и профессионального образования Российской Федерации в качестве учебника для студентов, обучающихся по специальностям «Механизация и автоматизация строительства», «Подъемно-транспортные, дорожные машины и оборудование» Издательство Ассоциации строительных вузов Москва 1999	
სასწავლო რესურსი	გ.მაჩაბელი ა.გრიგოლიშვილი „ავტომატიზებული ელექტრო ამზრავის საფუძვლები“. ს.ტ.უ.-2005წ.	
სასწავლო რესურსი	გ.მაჩაბელი ე.ლონიაშვილი ნ.სტეფანია „ტიპიური საწარმოო მექანიზმების ავტომატიზებული ელექტრო ამზრავები“1992წ	